№ 84
შაბათი, 23 აპრილი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 84
შაბათი, 23 აპრილი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**ნატალია გიორგის ასული შვილებითურთ და ალექსანდრე ანდრიას ძე მაჭავარიანები** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ ოთხშაბათს, 27 აპრილს ამა წლისას, ორმოცის წირვაზედ, რომელიც გადახდილ იქნება **დეკანოზის გიორგი ანდრიას ძე მაჭავარიანის** სულის მოსახსენებლად ქ. ქუთაისში ამაღლების ეკკლესიაში, სადაც დაკრძალულია განსვენებულის გვამი.

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ
**დანიშნულია 8 მაისს.**

ვისაც სურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნ ი ვ თ ე ბ ი გაუგზავნოს **ქნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი 21).

## „ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## მობრძანდით

ჯვართან, ვერაზედ
**კ ა ხ ე თ ი ს ბ ა ღ შ ი,**

სადაც მიიღებთ ჯეროვან სიამოვნებას წმინდა ჰაერითა და ყოველთვის ახალის საჭმელებითა და სისუფთავით.

ბაღს ჩამოუდის გვერდით ვერის წყალი, ზედ გადადგმულია ფიცრის ფარდულები (ბესედკები) და ხეივნები, აგრეთვე ბაღში იშოვება ყოველ დღე ცოცხალი თევზი, ყოველ გვარი საჭმელი და ყველა საუკეთესო ფირმის ღვინო. ბაღში მომსვლელი ნამდვილს ქართულს მასპინძლობას იგემებს.

როგორც ევროპიული, აგრეთვე ქართული საჭმელებიც დიდის სისუფთავით მზადდება და იაფადაც.

შეიძლება შეკვეთა სადილებისა, ვახშმებისა და სხვა.

იმედი გვაქვს, რომ საზოგადოება არ მოგვაკლებს ყურადღებას.

მასპინძლები: ნიკო ჩიკვაიძე და არსენ მიქელაძე. (3—2)

**ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა** ამით აუწყებს ბ-ნთ წევრთ დამფუძნებელთ და მსესხებელთ ბანკისას, რომ ბანკის წესდების მე-82 §-ის ძალით **საზოგადო კრება დანიშნულია ამ 1894 წლის 12 მაისს, დილის 10 საათზედ,** საადგილ-მამულო ბანკის სახლში, ტფილისს, სასახლის ქუჩაზედ.

საზოგადო კრების საქმენი:

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1893 წლის ანგარიშისა.

2) მოხსენება იმის შესახებ, რომ შეცვლილ და შევსებულ იქმნას მე-13, 14, 21, 22, 26, 28, 29, 38 და 54 §§-ი ბანკის წესდებისა.

3) მოხსენება იმის შესახებ, რომ სესხი მიეცეს ერობას, ქალაქებს, საზოგადოებათ და საზოგადოებრივ დაწესებულებად.

4) მოხსენება იმის გამო, რომ ბანკის მოქმედება გავრცელებულ იქმნას მთელს ამიერ-კავკასიაში და ჩრდილოეთ კავკასიაში.

5) მოხსენება იმ შენობის გადაკეთების გამო, რომელშიაც მოთავსებულია ბანკი.

6) მოხსენება იმის შესახებ, რომ მმართველობას ბანკისას მიემატოს კიდევ ერთი წევრი და მისი კანდიდატი.

7) მოხსენება იმის შესახებ, რომ %-ობითი ჯილდო, რომელიც ეძლევათ ბანკის მოხელეთ, შემცირებულ იქმნას.

8) მოხსენება კონვერსიის მდგომარეობის თაობაზედ.

9) მოხსენება კერძოდ ამორჩეულ კომისიისა დამფასებელ კომისიის დაფასების ინსტრუქციის გადასასინჯავად.

10) მოხსენება იმის შესახებ, რომ ბანკმა თავის საკუთრებად დაიმტკიცოს ქარვასლა და სახლი ფრეილინის ქუჩაზედ.

11) მოხსენება იმის გამო, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას დაუმტკიცდეს სკრის მამული.

12) განხილვა და დამტკიცება 1894 წლის ბანკის მართვა-გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვისა.

13) მოხსენება იმის შესახებ, რომ 1894 წ. 1 ივლისიდგან $^1/_4$%-ით შემცირებულ იქმნას გარდასახადი, რომელიც ერთმევათ ბანკის მსესხებელთ არა-დამფუძნებელთ სოფლის მამულებზე გატანილის სესხისა ბანკის მართვა-გამგეობისათვის.

14) მოხსენება იმ საჭიროებათა შესახებ, რომელთაც უნდა მოხმარდეს საზოგადო საჭიროებისათვის წმინდა მოგების 35%-ტით შემდგარი თანხა.

15.) არჩევანები: ზედამხედველ კომიტეტის ათის წევრისა, მმართებლობის თავმჯდომარისა თ. ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის მაგიერად და დამფასებელი კომისიის თავმჯდომარისა კონსტანტინე ლუარსაბის ძის ფურცელაძის მაგიერად, რომელთაც რიგით თავი უნდა დაანებონ სამსახურს.

### ტფილისი, 23 აპრილს

სააღდგომო ფელეტონში ჩვენი პატივცემული თანამოძმე „Plebs“-ი დიდათა სწუხს და გლოვობს აწინდელ დამოკიდებულებას ჩვენის საბანკო დასებისას ურთიერთ შორის.

მართალია, დამოკიდებულება დასთა შორის, როგორცა სჩანს, არ არის სანატრელ ხარისხამდე სათნო, მაგრამ ჯერ კიდევ, ღვთის მადლით, საქმე, იქამდის არ მისულა, რომ საზოგადოებას მოსმენისა და შეგნების ნიჭი დაჰკარგოდეს, და შავისა და თეთრის გარჩევა აღარ ჰქონდეს! ხოლო საზოგადოების სიფხიზლე, თუ ამ წერტილს გადასცილდა, მაშინ მობრუნება ძნელია, და სიბნელე უფრო და უფრო მოიცავს ადამიანის გონებას.

თითონ დას-დასად დაყოფა საზოგადოებისა, რომელიმე აზრის, რომელიმე მოღვაწის შესახებ, სრულიად არ არის არც საკვირველი, არც საშწუხარო.

მხოლოდ აზრის აზრასთან შეკამათებას და შებრძოლებას, მხოლოდ თითოეულის მოღვაწის ნამოქმედარის გარჩევას და დაფასებას შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებრივი წარმატება, შეგნება თითოეულის საჭირო გარემოებისა და წამლის მოძებნა იმ საგნისათვის, რომელიც გამხდარა სასჯელად ქვეყნისა.

ამ გვარივე მნიშვნელობა აქვს საზოგადო მოღვაწის ნამოქმედარის, ნაწერის და ნათქვამის გარჩევასაც. საჭიროა, და დიდადაც საჭირო, რომ ყოველივე რაც-კი შეეხება საგნის გამორკვევას თითოეულად, დაწვრილებით, დასაბუთებით წარედგინოს საზოგადოებას, რომ განაჩენი იმისი იქნეს სამართლიანი და ღირსეული.

მაგრამ ყოველივე ეს, საჭიროა მოხდეს ცხადად, საქვეყნოდ და არა საიდუმლოდ, კრძალულად.

ევროპაში, სადაც კენჭის ყრა დიდი ხანია შემოღებულია, იქ პროპაგანდა, განკიცხვა, თუ განდიდება კანდიდატისა საქვეყნო საქმეა: შეიკრიბება საზოგადოება, მოვლენ მომხრენი და მოწინააღმდეგნი კანდიდატისა და თითოეული თავის აზრს, თავის საბუთებს წარადგენს. საზოგადოებაც გულ-დასმით მოუსმენს ორთავეს საუბარს და დაადგება იმ აზრს, რომელსაც უფრო სამართლიანად და გამოსადეგად დაინახავს.

ამ გვარ კრებაში ნიღაბ ჩამოფარებული არავინ მიდის და რასაც ვინმე იტყვის იმისი საბუთებიც თან ახლავს. იქ მაგ. შეუძლებელია ვინმემ განიზრახოს იმის დასამტკიცებლად, რომ როზბერი საქმისთვის აღარ ვარგა —მიუთითოს, ღრმად მოხუცებულ გლადსტონზე და უთხრას: „აი ეს არის ლორდი როზბერი, და შეხედე აბა. თუ ასეთს უძლურს კაცს სამსახური შეუძლიაო?“ ინგლისში ამ ნაირი ახირებული და სასაცილო პარტიული ოინი, რასაკვირველია, წარმოუდგენელი, რადგანაც აქ გამოჩენილი მოღვაწეების პორტრეთები ყოველგან არის გამოფენილი და, ამას გარდა ხალხი ხშირად ჰხედავს ამ კაცებს მოლაპარაკეს: პარლამენტში, საზოგადო კრებებში და სხვა-დასხვა შემთხვევაშა გამო მრავალს ადგილს.

მაგრამ ჩვენში-კი ისეთი სცენა, როგორიცა ჩვენ მოვიყვანეთ ზევით შესაძლებელი ჰყოფილა, და შესაძლებელია, უთუოდ, კიდევ მრავალი სხვა ამისი მზგავსი. მეკენჭეებმა უნდა იცოდენ, რომ საქვეყნო საქმე არ თხოულობს—არც სიბნელეს, არც ქალაჩუნობას და, არც ქრთამს. თითოეული ქართველი კაცი, რომელიც ამ ზემოხსენებულ ღონეს მიმართავს თავისის მომხრის გასათეთრებლად, თუ გასაშავებლად—დამნაშავეა, არა მარტო აწინდელ საზოგადოების წინაშე, არამედ დამნაშავე წინაშე შთამომავლობისა, რადგანაც თავის მემამულეთა ზნის გარყვნაზედ უმეტესი-ღა ცოდვა დედამიწაზედ, მეორე არც-კი მოიძებნება!

მაგრამ რაკი, საუბედუროდ, საქმე იქამდის მისულა, რომ ჩვენს ქვეყანაში მცირეოდენი ნიადაგი უშოვნიათ ისეთ მოღვაწეთაც, რომელნიც აღარავითარს საშუალებას არ თაკილობენ ოღონდ-კი მიაღწიონ თავის საწადელს, ამ შემთხვევაში საჭიროა თვით საზოგადოებამ აღამაღლოს ხმა და უთხრას ამ ვაჟბატონებს: „სდევნ!“

ეს სიტყვა საჭიროა წარმოთქმული იყოს, სანამდის საზოგადოება შეიკრიბებოდეს, რომ მეკენჭეები თავისუფალის აზრითა და დამოუკიდებელის გულით მივიდნენ კრებაზედ. იქ, და მხოლოდ იქ—რადგანაც საჯარო კრებები, სადაც ჩვენი საზოგადო საქმეების გარჩევა შეგვეძლოს, ჯერ ჩვენ არა გვაქვს—შეუძლიათ ამომრჩეველთ შეიტყონ ნამდვილი გარემოება საქმისა და, როდესაც დარწმუნდებიან თავის თვალით თითოეულის მათგან დადგენილის მოხელის სიკეთეს, თუ უვარგისობას იმის და შესაფერად თავისი მსჯავრი დასდონ.

მაგრამ ამ განაჩენის წარმოსათქმელად-კი საჭიროა უპირველესად: „სული წრფელი და გული წმიდა.“

მეველე

## ახალი ამბავი

*** მთავარ-მართებელი კავკასიისა გენერალ-ადიუტანტი ს. ა—ძე შერემეტევი ამ თვის 20-ს მოსკოვიდგან გამოსულა კავკასიისაკენ და, როგორც შევიტყეთ, კვირას, 24 აპრილს ქალაქს მოელიან.

*** დღეს, შაბათს, 23 აპრილს, საზაფხულო თეატრში დანიშნულია კონცერტი სომხურს ენაზედ ყარამურზასი, რომელშიაც, ხოროს გარდა, მონაწილეობას იღებენ ბ-ნნი დავიდიანი, ბარხუდარიანი, ჯამბარიანი, აკოფიანი და ნ. მ. ყარა-მურზას ხორო შესდგება 80 სულისაგან, რომელშიაც ქალებიც არიან. დედათა ხორო ახალციხურს ტანისამოსში იქნება. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ არის.

*** ხშირად გვსმენია საჩივარი იმის შესახებ, რომ სიღნაღის საფოსტო გზაზედ გამვლელ-გამომვლელი დროზედ ვერ იშოვის ხოლმე ცხენებსა, რადგან სადგურებზედ საჭირო რიცხვი ცხენებისა არა ჰყავთო. ტფილისის გუბერნიის საფოსტო-ტელეგრაფის გამგებელმა ბ-ნმა ბოგუცკიმ მართლა სცნა ესნაკლი და განიზრახა, სიღნაღიდგან ტფილისამდე მთელს გზაზედ კიდევ 18 ცხენი მიუმატოს. ბ-ნ ბოგუცკიმ უნდა გამოითხოვოს ამის ნება ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრეს გამგეობისაგან პეტერბურგში, რომ შემდეგში ესე გაანაწილოს ეს ცხენები სადგურებზედ: ორ-ორი ცხენი მიემატება ორხევსა და სიღნაღის სადგურებზედ; სამ-სამი—კაჭრეთისა და კაკაბეთისაზედ და ოთხ-ოთხი—ვაზიანისა და სართაჭალის სადგურებზედ.

*** სოფ. დიღომში ყვავილი გაჩენილა. სახადით ავადმყოფებიც 4 კაცი იყო აქ, მაგრამ ყველანი მორჩენილან და ამ სენით მეტი აღარავინ გამხდარა ჯერ-ჯერობით ავად. ყვავილი გაჩენილა აგრეთვე სოფელ სართიჭალაში, სადაც ამ უკანასკნელ ორის კვირის განმავლობაში 18-მდე ყმაწვილი ავად გამხდარა და ამათგან 5 კიდეც უმსვერპლია,

ათი მორჩენილა და სამი დღემდე ავად არის. ექიმისათვის უცნობებია მაზრის უფროსს, რომ დროზედ ღონე იღონოს ამ სენის მოსასპობლად.

სოფ. მარტყოფში და საგარეჯოშიაც იყო სახადით ავადმყოფობა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს აქაც მორჩენილან ავადმყოფნი და ჯერჯერობით ამ სენს განმეორებით არ უჩენია ამ ადგილებში თავი.

*** გაზ. „Русс. Жизнь"-ის სიტყვით, კავკასიის თბილის წყლების მმართველობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა, თანახმად სახელმწიფო კომისარის წარდგენილებისა, ნება დართო წელს მადნის წყლებით სარგებლობის ვადა განგრძელდეს პიატიგორსკსა და კისლავოდსკში, 15 სექტემბრის მაგიერ,—1 ოქტომბრამდე; ესენტუკსა და ჟელეზნავოდსკში, 1 სექტემბრის მაგიერ, 15 ენკენისთვემდე.

*** გაზ. „Нов. Время" სწერს, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს საჭიროდ უცვნია ბათუმის სახელოსნო სასწავლებელთან აბრეშუმეულის საფეიქრო განყოფილების დაარსებაო.

*** ბარის-ოსები: სოფლებს ყაყადურსა, ხუმლაგასა და ზილგეში საქონლის ჭირის გამო ბეითალები არიან მოსულნი და სხვა-და-სხვა ღონისძიებას ჰხმარობენ საქონლის ჭირის მოსასპობლად. მცხოვრებნი დიდად შევიწროვებულნი არიან. ამ სოფლებიდგან თივას აღარ ანებებენ გასასყიდად წასაღებად და სიმინდი ხომ აღარა ფასობს. ბარის ოსებში ხვნა ჯერ არ დაუწყიათ სიმინდის სათესად. ამისი მიზეზი ის არის, რომ ჯერ ერთი,—ცივა, მეორე—შარშანდელი სიმინდით სასიმინდეები ისევ სავსე აქვთ, და რაკი სიმინდი აღარა ფასობს, ტყუილად რაღად უნდა ვაწვალოთო.

*** იქიდამვე: ამას წინად, თათრებს რომ გაუხსნილდათ, სოფ. ბრუთელს ოსს მაჰმადიანს დოღი ჰქონდა გამართული თავის მიცვალებულისათვის. დოღის ცხენებს, ჩვეულებისამებრ, სხვა ცხენოსნები მიუშველნენ. ერთის დოღის ცხენიდგან მხედარი ბიჭი უნდა გადმოესვათ. ჩოჩქოლში პატარა მხედარი გადმოვარდა, ცხენებს ქვეშ მოჰყვა, გაითელა და გარდაიცვალა. ცოტა ხანს შემდეგ კიდევ ერთი კაცი გადმოვარდა, კისერი მოსტყდა და ისიც გარდაიცვალა, აგრეთვე ერთი დოღის ცხენიც წაიქცა და მოკვდა. ამ ნაირად ამ დოღმა ორი კაცი და ერთი ცხენი იმსხვერპლა.

*** სოფ. თათანაანთ-უბანი (გორის მაზრა): ამ აპრილის 13 ჩვენ სოფელში ერთი უბედურება მოხდა: გლეხის სოსო ურიათმყოფლის ცოლი სათონეში პურს აცხობდა და გვერდით უჯდა თავის ოთხის წლის ვაჟი-შვილი. ამ დროს უცბად სათონის თავხემ დაიჭყა და ჩამოტყდა, სათონის ბანი მთლად ჩაინგრა და დედა-შვილი ქვეშ მოიტანა; მთელი სოფელი დეედო ამ უბედურებას და რის ვაი-ვაგლახით დედა-კი ცოცხალმკვდარი ამოიყვანეს, მაგრამ საბრალო ბავშვს-კი იქვე სული გეენთხია.

*** ბ-ნს შინაგან საქმეთა მინისტრს დაუმტკიცებია საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს წევრად ქ. ტფილისის მხრივ ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეული ნაფიცი ვექილი ევანგულოვი, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ბ-ნს ევანგულოვს ამ თანამდებობის აღსრულებისათვის ჯამაგირი არ ეძლეოდეს („Т. Л."-ი).

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ჭიათურის შტო, გაყვანილი ინჟენერის სიმბერგის მიერ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უწყებაში გადადის ამა მიმდინარე წლის პირველ მაისიდგან.

*** 21 აპრილს ორლოვის ქუჩაზე, სტეფანოვის სახლში მცხოვრებლებმა ნიკოლოზ და ანნა პეტრიაშვილებმა პოლიციაში გამოაცხადეს, რომ 21 აპრილს, ღამით 168 მან. სხვა-და-სხვა ნივთეული მოგვპარესო.

*** 22 აპრილს გოლოვინის პროსპექტზე მცხოვრებელმა სათადარიგო ჯარის-კაცმა ფრანც სარნომ პოლიციაში გამოაცხადა, რომ 21 აპრილს ყუთიდამ 220 მანეთი მომპარესო. ეჭვი გამოაცხადა სათადარიგო ჯარის კაცს ვასილ მაევსკიზედ. მაევსკი შეიპყრეს და 153 მანეთი უპოვნეს.

## დამაკვირდი

მუსიკა მსოფლიო ენაა.

ვებერი

**

სამი რამ ყოველთვის უნდა ახსოვდეს ხელმწიფეს: ერთი, რომ იგი მმართველია ერისა, მეორე—კანონისა და სიმართლის თანახმად უნდა ჰმართავდეს, და მესამე—მმართველობა მისი საუკუნო არ არის.

ევრიპიდი

**

ეს ქვეყანა საათია, რომლის ქაბსაც ფული შეადგენს, ხოლო ენას—დედათა სქესი.

ლესსინგი

## კორესპონდენცია

**ს. ბორჩხა** (ჭოროხის ხეობა) 10 აპრილს. ბათუმ-ართვინის გზატკეცილი არას დროს არა ყოფილა საქები და სადიდებელი, მაგრამ ამ ბოლოს დროს მთლად ბოლო მოეღო ამის კეთილ დღეობას. სხვა დროს აქ ზამთრობით ჩამოზვავებულ ქვა მიწას მაინც გაწმენდ-გაასუფთავებდნენ. დღეს-კი ამის თავ-შემატკივარი და ყურის მგდებელი ჯერჯერობით არ გამოგვიჩნდა ვინმე მადლიანი. რასაკვირველია, როგორც მეეტლეები, აგრეთვე ცხენოსნებიც დიდს წვალებაში არიან ჩავარდნილნი კისრამდე ტალახის ზელით და გზაც ისე დავიწროვდა, რომ უბრალო სოფლის გზას დაემსგავსა. ამისი მიზეზი ის უნდა იყოს, როგორცა სჩანს, რომ ძველი ინჟენერი პ. გადაიყვანეს ბათუმ-ახალციხის გზაზედ და იმის მოადგილედ დანიშნული ინჟენერი ს—ვი, რომელიც აქამდის დაღესტანში ჰმსახურებდა, თუმცა დიდიხანია ელიან, ჯერაც არ მოსულა და ჩვენ-კი ჩვენი დაგვემართა. ამისთანა უხეირო გზის წყალობით, არ ვიცით, როდის ველირსებით გზის გასწორებას. ყველას დიდი იმედი აქვს ბ-ნის ს—ვისა, რომ გზასაც თავისს რიგზედ შეინახავს და სოფლურისათვისაც სასარგებლო კაცი იქნება.

ამას იმიტომ ვამბობთ რომ, ძალიანი შეშინებულია აქაური ფუხარა უწინდელის იჯარადრებისაგან, რადგან თითქმის ოსმალოდგან იყვნენ გადმოყვანილნი, აქაურ მცხოვრებს გააკეთებინებდნენ ხოლმე გზას და, ფულის მისაღებად ბათუმში რომ ჩავიდოდნენ, იქ მიიღებდნენ ხვედრ ფულებს, რამტონსამე ათასს მანეთს და გასწევდნენ ოსმალოში. აქაური ფუხარა-კი ხახა მშრალი უყურებდა იჯარადარს, როდის ამოვა და ფულებს მოგვიტანსო, მაგრამ ნამუშევარიც ეკარგებოდა და რამდენსამე დღესაც ზედ ადებდა იმის ლოდინში. ამისთანა იჯარადრების წყალობით ბევრი ქალ-ბაღანა დარჩა ატირებული, მაგრამ გამოძიების და საჩივრის შემდეგ ის გამოდიოდა, რომ ინჟენერიც, მართალი იყო და იჯარადარიც ასე რომ ბოლოს მარტო საწყალი ხალხი რჩებოდა დამნაშავე და დაზიანებული.

აწ იმედი აქვთ, რომ როდესაც ინჟენერსა აქვს გზის გაკეთება მინდობილი, ის ჩვენებურსავე იჯარადარს აიყვანს, უფრო სანდოს და საიმედოს, რათა ფუხარამაც მისივე ხელმწიფის ქვეშემრდომთან იქონიოს საქმე და იმისი მონახვაც ადვილად შეეძლოს, თუ ვინიცობაა რიგიანად არ გაუსწორდება მუშა ხალხს. მოგეხსენებათ, რა ძნელია საწყალი ხალხისთვის მისი გამძარცვავი იჯარადარის მოძებნა ოსმალეთში. აქაური ხალხთან, თუ პირნათლად მოექცევა ინჟენერი, მაშინ ეჭვი არ არის, რომ ის გზასაც კარგად შეინახავს, სოფლელებიც მადლობელი ეყოლება და უსათუოდ მისთვისაც არ უნდა იქნას საზიანო, როდესაც ფუხარას თავს შეაყვარებს თავის სიმართლით.

ჭოროხმაც ჩვეულებრივ დაიწყო ადიდება. ძალიან გაძნელდა გაღმა-გამოღმა ნავის გაყვანა, მენავეებმაც დაანებეს თავი ბათუმ-ართვინს შუა სიარულს. როგორც ამბობენ, წელს დიდი თოვლი ყოფილა მთებზედა, მაშ ჭოროხიც ჯერ კიდევ ბევრს მოიმატებს. ამას წინადაც გვქონდა „ივერიაში" ნათქვამი, რომ კახაბერის ნაქებს საყანეებს ვერ მოელის კაი დღე და თანდათან მიაქვს ჭოროხს და შეაქვს ზღვაში. დღეს ჭოროხი შეუერთდა მეჯინის ღელეს, რომელიც ბათუმიდგან ორის ვერსის მანძილზეა დ ჭოროხიდგან-კი შვიდისა. ამ შვიდს ვერსის საყანეებსა ნახევარზედ მეტს ჭოროხი დაპატრონებია და მირეცხს და მიაქვს თან ეს საქები საყანეები. რომ არც წაიღოს, მაინც სადაც ახლა ჭოროხი მირბის იქ ამ ზაფხულში ვეღარას დასთესავენ, დიდს ზარალს მისცემს ამ კარგ მიწის პატრონებს და აგრეთვე ახლო მახლო უხეირო მიწის მქონებელთ, რომელთაც სამი ოთხის თვის სარჩო არ მოსდით თავისი მიწიდგან და მაინც იმის მეტი სხვა არა გააჩნიარა.

ინჟენერს კიდეც დაუწყია ჭოროხის საწინააღმდეგო ყორეებისთვის ქვების ზიდვა, მაგრამ ამ წელს მაინც ვერას უშველიან და რამდენიმე ვერსს კიდევ ხელიდგან გამოგვაცლის ამ ძვირფას საყანევისას. წრეულს მადლობა ღმერთს, კიდევ გაუძლებთ ამისს ზარალს, თუ-კი შემდეგისთვის მაინც არის გააკეთებენ რამე საიმედოს. თუ საიმედო ყორეები ჭოროხის ნაპირებზედ რამდენისამე ადგილას არ გააკეთეს, მაშინ როგორც კახაბერს, აგრეთვე ბათუმსაც არ მოელის კაი დღე. თუ ამ დროებით ბათუმამდე ორის ვერსის მანძილზედ მივიდა ჭოროხი, მომავალში იმედია თვით ქალაქსაც ესტუმრება ეს არა სასიამოვნო სტუმარი.

ივ. ჯაიანი

**კახეთი**, 10 აპრილს. ვერაფერს ყოფაშია სოფლის სკოლები, ეს განათლების ლამპარნი. ანათებენ, მაგრამ მხოლოდ თავის თეთრის კედლებითაო, ოხუნჯობენ სოფლელნი. აბა, რა გავიკეთა 10—15 წელიწადში, ვინ რა ცოდნა გამოიტანაო? მასწავლებელნი კიდევ იმას ამბობენ: ცოდნას ვერ მივცემთ, ნეტავ წე[illegible]ხვა ვასწავლოთ ქართულ[illegible] რუსულადაო.

ერთი კარგი მოზრდილი სოფელი[illegible] კახეთში. ამ სოფელში სულ ცოტა 450 კომლია. უმთავრესი საქმე მევენახობაა. აქვს 700 დესეტინამდე ვენახი, მაშასადამე, კომლზედ მოდის დესეტინა ნახევარი. შეუძლიან ახლა ერთს კომლს ამოდენა მამულის შემუშავება, რომ თანაც სხვა საოჯახო საქმესაც მიჰყვეს, როგორც ხვნა-თესვა, მებოსტნეობა, საქონლის ყოლა და სხვა? ყველა დამერწმუნება, რომ არა. ჩემის აზრით, სხვა საქმეთა შორის სოფლელს შეუძლიან შეიმუშაოს მხოლოდ ნახევარ დესეტინა და არა მომეტებული სამის ჩარექისა ისე, რომ ხეირი მისცეს. სოფლელი-კი მოსჭიდებია ერთი-ორად მეტს. ამასაც არა სჯერდება, საუფლისწულო მამულებშიაც მიდის სამუშაოდ და არც იშვიათად. დესეტინა ვენახს იმ სოფელში რიგიანად შესამუშავებლად უნდება 120 მანეთი. მაშინ ამისთანა ვენახი მოგვცემს საშუალოდ ექვს საპალნეს. საპალნე რომ შვიდ თუმნად გაჰყიდოს, მევენახე მიიღებს 42 თუმანს, და ხალასი მოგება დარჩებოდა 300 მანეთი. ამისთანა გარემოებათა შორის გლეხკაცის ოჯახში სიღარიბე ფეხსაც ვერ შესდგამდა, მაგრამ ასე არ არის. ის მოსჭიდებია დიდ მამულს, რომელსაც ვერ გასწვდენია, და ამის გამო ვენახიც ერთი ორად ნაკლებს იძლევა ე. ი. დესეტინაზედ სამ საპალნეს და დესეტინა ნახევარზედ—ოთხ-ნახევარს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სიღარიბისაგან გზა-დაბნეული სოფლელი ვენახში ვაზის მოშენებას არ სჯერდება, იქავე სთესს: სიმინდს, კიტრს, გოგრას, ნესვს, საზამთროს, ლობიოს და, ვინ იცის, რას არა. არც სწამლობს ნაცრისგანა და ობისაგან, თუმცა დარწმუნებულია, წამლობა რგებს ვაზს. ამის გამო საპალ-

# ფელეტონი

## ორგვარი სიყვარული

(ესკიზი)

### I

ჯერ თექვსმეტი წლისა არც-კი ვიქნებოდი, ნატალია რომ შემიყვარდა. თუმცა ჯერ კიდევ თოთხმეტის წლისა იყო, მაგრამ მისი საკმაოდ მაღალი წერწეტა ტანი, ვაშლივით გაწითლებულ ლოყები, პატარა პირის სახე, შავი თვალ-წარბი და მოშავო ხუჭუჭი თმა ზომიერ ტუჩებით და ცხვირით დიდად მშვენიერს სურათს წარმოადგენდა. ჩემი თავი გმირად წარმომედგინა და მინდოდა სიკვდილამდე ჩემი სიყვარული მტკიცედ შემენახა. ახლაც-კი სირცხვილით ვიწვი, როცა-კი მომაგონდება, რომ მთელს ღამეებს ნატალიას ფიქრში უძილოდ ვატარებდი: ჩავიკრავდი გულში, თუ-კი რამ მისი მებადა, ან ხელსახოცი, ან სხვა რამე, და გაკიჟებით ვკოცნიდი. როცა-კი მივდიოდი სადმე, ნატალიას სახე წინ მიდგა. ლამაზ ქალს, ან მშვენიერ სურათს შევხედავდი, მაშინვე ნატალია თვალწინ წარმომიდგებოდა და ჩემს გრძნობაში ვხედავდი. საშინელი გავლენა ჰქონდა ჩემზედ სიმღერა-გალობას და საზოგადოდ მუსიკას, ამათ გაგონებაზედ არ შემეძლო სულ-დამშვიდებული ვყოფილიყავი: მაშინვე გული ფანცქალს დამიწყებდა და მე და ნატალია ხვევნა-კოცნით ზეცაში ვფრინავდით.

ჩემმა ამ გვარმა მდგომარეობამ გასტანა ნახევარს წელიწადს, რომლის შემდეგ ნატალიას სიყვარული გამოუცხადე. იმანაც კვერი დამკრა ჩემს სურვილს და პირობა მომცა, სანამ სწავლას არ დავასრულებდი არ გათხოვებულიყო, თუნდაც დედ-მამას თავიც გაეგდებინებინათ.

სიყვარულის გამოცხადებამ ჩემი გრძნობა ვერ გაანელა. მე ისევ-ისე გაგიჟებით მიყვარდა ნატალია: ის დღე, რა დღესაც ჩემს ნატალიას ვერა ვნახავდი, დღედ არ მიმაჩნდა. საშინელი ამაყი და გულ-ფიცხი შევიქენი. უბრალოდ სიცილითაც-კი რომ შეურაცხება მიეყენებინა ვისმე ჩემ ნატალიასთვის და მე იქ დავსწრებოდი, ან გამეგო, სული არ მოვითმენდა, რომ მაშინვე მოპირდაპირესთვის სამაგიერო არ გადამეხადნა ან სიტყვით, ან ხელით, თუნდა კარგად მცოდნოდა, რომ ჩემისთანას ორს მაინც მოერეოდა. სწავლას მოუმატე, რომ ჩემის ნატალიას წინაშე გამოვჩენილიყავ და სხვა ამხანაგებს უკან არ ჩამოვრჩენოდი.

გავიდა სამი წელიწადი. ერთი წელიწადი-ღა მაკლდა საშუალო სასწავლებლის გათავებას და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში უნდა წავსულიყავი, თუ შესაძლებლად დავინახავდი. ამ დროს ჩემი ნატალია ერთ ვიღაც ყმაწვილს მიათხოვეს. ნატალია ჩემ წინ თავს იმართლებდა წერილით: „რა ვქნა, თუმც არ მინდოდა, მაგრამ ძალით გამათხოვესო". სხვებთან-კი ამბობდა თურმე „ჩემს ქმართან მარტო მჭადი რომ ვსჭამო, მაინც ბედნიერი ვიქნებიო". ნატალიას ვითომ-და ძალით გათხოვების შემდეგ მე თითქმის მთლად ჭკუაზედ შევიშალე: ხან ვაპირებდი იმის ქმრის მოკვლას, ხან დედმამისას და ხან ჩემის თავისასაც-კი.

### II

ამ ამბის შემდეგ აღარ მინდოდა სწავლის განგრძობა. „სისულელეა-მეთქი, ვამბობდი, ისწავლოს კაცმა, როდესაც არ იცის, რისთვის სწავლობს. ყველა ჩემს ამხანაგსა ჰყავს თითო ერთგული არსება, რომლის გულისათვის შეუძლიათ ისწავლონ. მე კი რა? ნატალია ჩემი აღარ იქნება, ვინღა გავახარო ჩემის სწავლით, ჩემის ღირსეული ქმრობით". დედამ ბევრი მიშალა (მამა არა მყავდა), ბევრი ცრემლი ღვარა ჩემ წინ, რომ ჩემს განზრახვისთვის თავი დამენებებია, მაგრამ მე მაინც ჩემი ვქენი: სწავლას თავი დავანებე და წაველი სოფელში საცხოვრებლად. რამოდენიმე ხანს სოფელში უსაქმურად ვიყავი ხან-და-ხან თუ ავიღებდი ხოლმე წიგნს ხელში, ისიც იმიტომ, რომ გავრთობილიყავ. ბოლოს-კი, როცა

ნეს შვიდ თუმნად კი არა ჰყიდის, არამედ 3—4 თუმნად, მაშასადამე იღებს ღვინოს 12—15 თუმნისას; ამასაც იშვიათად ჰყიდის; კარგ ღვინოებს რომ ნაკლები მუშტარი ჰყავს, ნაკლებს რად ეყოლება ბევრი მუშტარი. ბოლოს ისევ თითონვე ასაღებს და გაიძახის დღე და ღამ არხალოლოს. მაშ რა ჰქნას, თავის ნაჰირნახულევს ხომ არ გააცრუვებს. აი ამაზედ არის ნათქვამი: „მამულ მორეულს მტერ მორეული სჯობიაო“. მამულისაგან გალახული სოფლელი გაჭირებაში პირდაპირ თე[illegible]რიახშიიბთან მიდის, რადგანაც [illegible] ფული არავის აქვს [illegible] ღვინოებს 10—20 მანეთად საპალნეს. იღებს ვალსა, ოჯახი უკან-უკან მიდის და ბოლოს ვენახსაც მოვახშეს უტოვებს. „ანაღვლებულიასა, თუ ბზე ქარს მიაქვს და პური ურიასა“ ძალიანაც არა სწუხს ვენახის დაკარგვისათვის. მაგისაგან ვიყავი გაწყალებულიო. აი ეს არის მიზეზი, რომ მებატონეებისა თუ გლეხების საუკეთესო მამულები თელავის მოვახშეებს უჭირავთ ხელში. უმეტესი ნაწილი გლეხთა ვენახებისა სახელმწიფო მიწებზედ არის გაშენებული; გლეხი მის ხარჯს ჰპანწყვეტით იხდის და მამულით კი თელაველი სარგებლობს.

არც ხვნა-თესვაა უკეთესს მდგომარეობაში. გლეხკაცობა მომეტებულ ნაწილად მიწად-მოქმედობს ნაბატონარის მამულში, რომელიც იჯარით აქვთ აღებული ერთსა და ორს და, ყოვლად უწესოდ და ურიგოდ. ან კი ვინ უნდა იზრუნოს მამულის წესიერად ხმარებისათვის? ბატონი ამბობს: ვინც მეტს მომცემს, მამულს იმას გადავცემო; მოიჯარადრეც აგრეღვე, ილაჯ გაწყვეტილი გლეხიც სჩიჩქნის მიწას. წელიწადში ორჯელ გადააბრუნებს და გადმოაბრუნებს, სთესს პურს, მაგრამ ბოროტი კაცი მოდის და შვრიასა სთესს შიგ. ემდურებიან იღბალს, ბედს, მაგრამ რას იზამენ.

საძოვარი და სათიბები მცირედ აქვთ საზოგადოდ შიდა კახელებს; ამისათვის, თუ ზამთარმა შემოუტია, საქონელი უნახევრდებათ და იღუპებიან. ამისთანა შემთხვევაში სოფლელს შეეძლო საქონლის საკვებად ბალახი ეთესნა, რისთვისაც სარწყავი მიწები საკმაოდ აქვს, მაგრამ ამისთანა საქმე მთელს კახეთში ფიქრადაც არავის მოსვლია ჯერ.

გ. გარეჯელი

## პ. იოსელიანის ხელნაწერ „ისტორიულ კრებულისა“ გამო.

ეს იყო მივიღე „ივერიის“ № 75, სადაც „H. O.“-დამ მოყვანილია წერილი განსვენებულის დ. ბაქრაძის ქვრივისა. ბევრი საღამო გამიტარებია ერთად განსვენებულ დიმიტრისთან და მიხრეკია ისტორიული მასალა; სადაო „ისტ. კრებული“ ჩემი კარგი ნაცნობია; ვიცნობ კარგად ზ. ჟორდანიასაც. ამის გამო ნება მიბოძეთ „ივერიის“ მკითხველ საზოგადოებას განვუზიარო ის, რაცკი ვიცი და მაგონდება ამ „კრებულზედ“ დავის შესახებ.

1847—1848 წწ. მ. ბროსსეს საქართველოში საარქეოლოგიო მოგზაურობამ და 1849—1750 წწ. პ. იოსელიანისამ საბერძნეთში—გამოიწვია ქ. ტფილისში ძველი გუჯრების გამრჩევი კომისიის დანიშვნა. 1852 წ. სხვათა შორის ამ კომისიაში შრომობდნენ პ. იოსელიანი და დ. ფურცელაძე. განიხილეს კიდეც სასინოდო კანტორაში თავ-მოყრილი გუჯრები, მცხეთის სვეტი ცხოვლის ბიბლიოთეკა დავით გარეჯისა, ქვათახევისა, ტფილისის სიონისა და სხ. ამ კომისიის დროინდელი ნაშრომია დღეს სადაოდ გამხდარი პ. იოსელიანის „ისტორ. კრებული“. ეგ „კრებული“ მე პირველად ვნახე 1878 წ. დ. ფურცელაძის ხელში (ამ დროდან გუჯრებს აგროვებდა V საარქეოლოგიო კრებისთვის ქ. ტფილისში). ამავე ხანებში ვგონებ ზ. ჭავჭავაძემ ჩამოიტანა ქუთაისიდამ შესანიშნავი ოპიზარ-მიჯნაძორელთა გუჯარი XI საუკ. (ბაგრატ IV) და დროებით ათხოვა ფურცელაძეს (მაშინ ცენზორად იყო). ამ დროს ქართულის ენის ცენზორად დ. ბაქრაძე იყო, რომელსაც „ისტ. კრებული“ ფურცელაძემ ათხოვა, ანუ გადასცა 1882 წ. ამ უკანასკნელს ვსთხოვე და ჩემს ხელში იყო იგი „კრებული“ მთელი 1884 წ. ერთად გ. წერეთლის „გელათის წარწერათა“ ხელ ნაწერთან. ამ დროს შემოსწირეს პ. იოსელიანის ბიბლიოტეკის მცირე ნაწილი სააზნაურო სკოლას და შემოწირულებაში სადაო „კრებულის“ მსგავსიც არა ყოფილარა შემოწირულება მე დავათვალიერე მაშინვე მღ. დ. ჯანაშვილთან ერთად. ფურცელაძემ დროებითვე გადასცა დ. ბაქრაძეს ზ. ჭავჭავაძისაგან ჩამოტანილი გუჯარიც 1885 წ., რომელიც მე გადავუწერე და დაბეჭდვინა კიდეც სამეცნ. აკადემიას 1887 წ. (იხ. статьи по истор. и древностямъ грузіи“ 20 გვ.) ამ ხანებში მე ორსამთვეს ვშრომობდი დ. ბაქრაძესთან, თ. ჟორდანიასა და ნ. მთვარელიშვილთან სამეგრელოს მთავრის შვილისაგან შემოწირულ ხელნაწერთა კატალოგის შედგენისათვის; კვლავ ვსთხოვე ცოტას ხნობით იგი „კრებული“ (შემოდგომაზედ 1885 წ.) განსვენებულს, მათხოვა კიდეც, მაგრამ პირვანდელი „კრებული“ აღარ იყო, მხოლოდ მესამედი იქმნებოდა დაახლოვებით; დანარჩენი მიმასწავლა თ. ჟორდანიასთან—იმასა სთხოვეო. შემდეგში რამდენჯერმე მინახავს დანარჩენი ნაწილი „კრებულისა“ ზ. ჟორდანიასთან და მაგ. ამოწერილი მაქვს კათალიკოზთა სიისათვის საჭირო ცნობები (224, 234, 235, 236, 238 და სხ. გვ.), სადაც მცხეთის აქტები იყო მოთავსებული. დღესავით ცხადია, რომ დ. ფურცელაძესაც არ ეგულვნოდა „კრებული“ პირველში და მერე თუ განსვენებული დ. ბაქრაძის ხელში გადვიდა, ეგ უნდა ავხსნათ დ. ფურცელაძის გაჭირვებული გარემოებით უკანასკნელ დროს. იმ თავით-კი ნათხოვრად გადასცა გუჯართან ერთად.

1886 წ. იანვარში, თუ თებერვალში ვიყავ დ. ბაქრაძესთან, გადავეცი ორი ხელნაწერი „რჯულის კანონი“ ერთი ტყავზედ XI საუკ. მეორე XVII საუკ. დამდეგს (იაკობ სამებელის ნაქონი) ქაღალდზედ ნაწერი—გადასაცემად წ-კით. საზ. ბიბლ. ამ დროსაც ისევ ის ნაწილი ჰქონდა „კრებულისა“ განსვენებულს დიმიტრის.

სიმართლე მოითხოვს ოპიზარ-მიჯნაძორელთა XI საუკ. გუჯარი გადაეცეს წ-კით. საზ. ბიბლიოთეკას შესანახავად, რადგან ზ. ჭავჭავაძე 1878 წ. მოკვდა და არ ვიცით ვის გამოართვა.

ვთხოვ „Новое Обозрѣніе-ს რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს.

მღ. პ. კარბელაშვილი

10 აპრილი, 1894 წ.
ს. გურჯაანი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სამზღვარ-გარეთის გაზეთები ჯერ კიდევ მემკვიდრე ცესარევიჩის დანიშვნის შესახებ ლაპარაკობენ. თანაგრძნობით ამ ამბავს უფრო ინგლისის გაზეთები ეკიდებიან და ამბობენ, რომ პოლიტიკაში ამ ამბავს სანუგეშო შედეგი მოჰყვებაო. ზოგიერთა საფრანგეთის გაზეთები უფრო თავშეკავებით სჯიან და მხოლოდ პატივისცემით იხსენიებენ ვინაობას ახლად დანიშნულებისას. მეორენი იმ აზრისანი არიან, რომ ამ ჟამად ორის მეფის გვარეულობის დანათესავებას პოლიტიკაში მნიშვნელობა სრულიად აღარა აქვს, როგორც უწინ ჰქონდაო. ზოგიერთი გაზეთები იმასაც ამბობენ, რომ რუსეთის ტახტის მემკვიდრის და გერმანიის პრინცესის დანიშვნა ამ ორის წლის წინად ყოვლად შეუძლებელი იყოო. ამ გვარს შეხედულობას აღნიშნავს და მოჰყავს რა ეს სხვა-და-სხვა აზრი გაზეთებისა, „National Zeitung“-ი თავის მხრივ დასძენს:

უკანასკნელი გარემოება მართალია და ეს რომ ნიშნობა ნიშანია გამწვავებულ ურთიერთობის შესუსტებისა და დაწყნარებისა, ამას თვით გერმანიის გაზეთებიც უნდა დასთანხმდნენ; ის გაზეთები, რომემელნიც ეხლა ზოგიერთის მიზეზის გამო, არაფერს ამბობენ, რა შედეგი მოჰყვება ამ ქორწინებას, კერძო ცხოვრებაშიაც-კი შუღლი ნათესავებ შორის არა იშვიათია და ჩვენ დროში ორს ნათესავს ხელმწიფეს შორის ომიც მომხდარა. ამიტომ ამ სამეფო გვარეულობათა ამ გვარს დაახლოვებას, რასაკვირველია, არავინ მისცემს იმ მნიშვნელობას, ვითომ იგი ყოველისავე გამწვავების ამრიდებელი იყოს. მეორე მხრივ ყოვლად შეუძლებელია გულგრილად ვუცქიროდ ასეთს დაკავშირებას და არ ვიკითხოთ: ამ კავშირმა უფრო გაასხვილა ძაფი უთანხმოებათა პირადად მორიგებისა, თუ, პირ-იქით, შეასუსტა. აი ამ მხრივ მემკვიდრე ცესარევიჩის დანიშვნა დიდ მნიშვნელოვანია, რადგან რუსეთში დიდი ხანია იმ აზრის მიმდევარნიკ არიან, რომ დასავლეთს ევროპას სრულიად ჩამოვეცალოთ და იმასთან ნურავითარს დამოკიდებულებას ნუ ვიქონიებთო. რუსეთის პოლიტიკის ევროპასთან დაახლოვების ნიშნებს უნდა მიუმატოთ ცესარევიჩის დანიშვნა და სწორედ ამიტომაც შეუძლებელია, რომ სიამოვნებით არ მივეგებნეთ ამ ამბავს.

ოფიციოზურ გაზეთის „Presse-სა და Fremdenblatt“-ის წერილებს შემდეგ, გაზეთს „Neue Freie Presse-ში მეთაური წერილი დაიბეჭდა, რომელშიაც ის აზრია გატარებული, რომ ცესარევიჩის დანიშვნა, ახალი ნიშანია რუსეთ-გერმანიის დაახლოვებისაო.

## რუსეთი

თიბათვის თვეში პეტერბურგს მიელიან: დანიის სამეფო გვარეულობას, იმპერატორ ვილჰელმ მე-II ძმას, პრინც ჰენრიხ პრუსიელს თავის მეუღლით ირინეთი, რომელიც და არის რუსეთის მემკვიდრე ცესარევიჩის უმაღლესად წოდებულის დანიშნულისა; უელსის პრინც მეუღლითურთ, ჰერცოგს და ჰერცოგინიას კობურგისას. ვენის გეზეთების სიტყვით, მემკვიდრე ცესარევიჩის ქორწინებაზედ პეტერბურგს აპირობს მოსვლას ერც-ჰერცოგი კარლ-ლუდვიგი, თუ კარგად იქნება, თუ არა და ავსტრიის იმპერატორის წარმომადგენლად ამ ქორწინებას დაესწრება ერც-ჰერცოგი ფრანც-ფრიდრიხ დ'ესტე, რომელიც, როგორც ამბობენ, ავსტრიის იმპერატორის მემკვიდრედ ინიშნება; ამავე დროს საფრანგეთის წარმომადგენელად ჩამოვა ადმირალი ჟერვე.

უმაღლესად წოდებული სასძლო, პრინცის ჰესსენელის ასული ალისა პეტერბურგში ჩამოვა თიბათვეში, ამ ჟამად-კი იგი დარმშტადტიდგან კობურგს წასულა, საიდგანაც თავის ბებია დედოფალ ვიქტორიასთან ერთად ინგლისს წავა. პრინცის ასული რუსულს ენასა სწავლობს და ამ საგნისათვის ამ დღეებში პეტერბურგიდგან დარმშტადს მიდის სამხედრო მღვდელ-მთავარი იანიშევი.

## დედათა უმაღლესი განათლება სხვა-და-სხვა სახელმწიფოში

დედათა უმაღლეს განათლებას უფრო დიდად მფარველობს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც დედაკაცს ნება აქვს დართული და ყოველთვისა ჰქონდათ კიდეც უმაღლეს სასწავლებელში შევიდეს ფაკულტეტების განურჩევლად. ეხლაც დედაკაცს ნება აქვს 23 შტატში ვექილობა გასწიოს და 15-ს თებერვალს 1879 წ. დამტკიცებულის კანონის ძალით დედაკაცებს ნება დაერთო იმსახუროს უმაღლეს სასამართლო დაწესებულებაში. შეერთებულ შტატებში ამ ჟამად 2,000-მდე ექიმი-დედაკაცი ითვლება. იმათ შორის 850 ალეოპატიის მცოდნეა, 130 გომეოპატიისა, 70 სულის ავადმყოფობის ექიმია, 60 ორტოპედიის მცოდნე, 610 დედათა ავადმყოფობის ექიმია, 40 ყურის და ცხვირის სნეულებისა, და 30-იც ისეთია, რომლებიც ექიმობის დროს ელექტროტერაპიას ჰხმარობენ. ამას გარდა 95 დედაკაცი საავადმყოფოების უფროს ექიმებად არიან და 70 საექიმო ფაკულტეტის მასწავლებელი.

ევროპის სახელმწიფოებში მომეტებული სტუდენტი-ქალი შვეიცარიაშია. 1892 წელს იქ იყო 307 თავისუფლად მოსიარულე სტუდენტი-ქალი და 236 ნამდვილი. ამათ შორის ჟენევაში 84, ბერნეში—79, ციურიხში—67, ლოზანში—5 და ბაზელში—ერთი სტუდენტი-ქალი. ფაკულტეტების შედარებით ასე იყვნენ

---

ცხოვრება გამიჭირდა, ერთის სოფლის სასწავლებელში შევაფარე თავი და პედაგოგობა დავიწყე.

ამ დროს გავიცანი მეორე სოფლის მასწავლებელი, რომელსაც კარგა მოზრდილი წიგნთ-საცავი ჰქონდა და თითონაც კარგა განვითარებული იყო. ის იქნებოდა მაშინ ასე ოც-და-ხუთი წლისა. მის გატაცებულ ლაპარაკს ჩემზე ყოველთვის განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა. ამ პატიოსანმა კაცმა შემაჩვია წიგნების კითხვას. მე ისე გატაცებით ვკითხულობდი ახლა, რომ ნატალია თითქმის გადამავიწყდა; იშვიათად თუ-ღა მომაგონდებოდა.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ავერ ოც-და-ათი წლისა ვარ. ნატალიას თუ დავინახავ, მარტო მაშინ მომაგონდება ხოლმე. ჩემ გულში ნატალიას ადგილი ჩემ პატარა კოტეს, ვანოს, მიხაკოს მაშოს, კატოს და სხვა ჩემ პატარა გვრიტებს, ჩემ შეგირდებს, ჩემს იმედებს, აგრეთვე პეტრიკელას, კიკოლიკას და იმისთანა ალალ გლეხებს უკავია. მშვენიერი ხელოვნება, მუსიკა, მხოლოდ მათთვის-ღა არსებობს; მუსიკის ხმაზედ ჩემ ჭუჭულებთან, ჩემ დაჩაგრულებთან, ჩემ თანამოაზრეებთან დავფრინავ ზეცაში და არა მარტო ნატალიასთან, იმათთვის მსურს სწავლა, იმათთვის მინდა ღირსეული კაცი შევიქნე, რომ მოვეხმარო როგორმე; იმათთვის ვათევ ღამეებს, უიმათოთ სიცოცხლე არად მიმაჩნია. დედი მისის შვილია და ვინმე გაჰბედავს ამათს შეურაცხებას: მაშინვე ლომივით ყრონტში ვეცემი. მსურს ვიცოცხლო, რომ ამით იქნება რამე სარგებლობა მოუტანო. მიყვარს ახლა ადამიანი, ბუნება და არა მარტო ნატალია; სიყვარულით ვიწვი არა ერთისა, არამედ მრავალისათვის; ნატალიას ქმარი მძულს იმისთვის-კი არა, რომ ჩემი მეტოქე გახდა, არამედ იმისთვის, რომ ცუდი კაცია.

ვერ წარმოიდგენთ რა სიბრალულით სავსე სიცილ-ხარხარს დავიწყებ ხოლმე, როცა-კი დავინახავ, რომ ვაჟი ქალს ან ქალი ვაჟს ტირილით ეუბნება: „შენ მიყვარხარ მთელს დედამიწის ზურგზედ, შენთვის შემომიწირავს ყოველივე: სიცოცხლე, დიდება, საგანი ცხოვრებისა; ოღონდ-კი შენ მყავდე ჩემს უბედნიერესი კაცი არ იქნება“. ვერ წარმოიდგენთ რა სიამოვნება იხატება ჩემ თვალებში, როდესაც ჩემ გვრიტების ჭიკჭიკს ან ტლანქ გლეხების და ამხანაგების დარბაისლურ ლაპარაკს ვუგდებ ყურს.

ძნელი წარმოსადგენია, რა სიამით შევხარი აღდგომის მოსვლას: რა სიამოვნებას ვიგრძნობ, ჩემი პაწაწები რომ გაიხარებენ წითელის კვერცხებით. მათი ხტუნაობა, კვერცხების ჩახა-ჩუხი, „არა ძმაო, ახლა-კი მე გაგიტეხე, წელან შენ“-ის წამოძახილი და სხვა მთელს სამუსიკო ხოროს შეადგენს ჩემთვის. მაგრამ ერთი ამბავი-კი ჩემის ცხოვრებისა საშინლად მაღონებს და ჩემს სიმხიარულეს სქელს ღრუბელსა ჰფენს.

აღდგომის წინა დღეს რაღაცასთვის მივედი ნატალიას დედ-მამასთან და ნატალიაც ვნახე. მე და ნატალია მთლად უბრალო რამესთვის შემოვწყერით ერთმანეთს. მე გამოჯავრებული წირვაზედ აღარ წავსულვარ. თუმც ადრე დავწექი, საუბედუროდ მაინც არ დამეძინა. გათენდა, მაგრამ საბანში ისევ უძილო ვგორავდი ჯავრის გამო. წამოვდექი, ფანჯარა გავაღე და გახურებული შუბლი ცივ ჰაერს მიუშვირე.

არ გასულა ორი წუთი, რომ ჩემ ფანჯარას მოადგა ვილაც მათხოვარი. „ჩემსავით“ ადრე წამომდგარიყო ნაწირვევის ძილის შემდეგ, რომ ამისთანა შემოსავლიან დღეს, რაც შეიძლებოდა ბევრი ხორაგი მოეგროვებინა.

ღვთის გულისათვის, ერთი ლუკმა...

საწყალს თქმაც აღარ დავაცალე, გაბრაზებულმა წამოვავლე იქვე სტოლთან ქალალდის სატკეცს ხელი და, რაც ძალი და ღონე მქონდა ვესროლე. თან მახსოვს, წავილუღლუღე კიდეც: „მე ისეც ვიტანჯები და შენ რაღას მაწუხებ-მეთქი“.

— რაღას მერჩი, ბატონო?! სთქვა საწყალმა ცრემლ-მორევით და განმშორდა.

ერმისი

განაწილებულნი: სამკურნალო მეცნიერებასა სწავლობდა 161 ქალი, საფილოსოფიო მეცნიერებას—46, ბუნების-მეტყველებას—21, სასჯულო საქმეთა მეცნიერებას—5, და სატეხნიკო მეცნიერებას—3. თუმცა უმაღლესს სასწავლებელში მოსწავლე ქალები საკმარისად ბევრნი არიან შვეიცარიაში, მაინც იქაურ 1,157 ექიმს შორის მხოლოდ 10 ქალია ექიმი. ეს გარემოება იმითი აიხსნება, რომ შვეიცარიის უმაღლესს სასწავლებელში მოსწავლე-ქალები უმეტესად უცხო ქვეყნელები არიან.

საფრანგეთში ქალებს უმაღლესის სასწავლებლის კარები გაეღოთ 1863 წელს. 1868 წელს საექიმო ფაკულტეტზედ 4 ქალი იყო. 1878 წ.—32, 1886-ში—119; სხვა ფაკულტეტებში-კი სულაც არ იყო ქალი.

გერმანიაში უკანასკნელ დრომდე დედაკაცს უმაღლესს სასწავლებელში არც შესვლის ნება ჰქონდა და არც სამეცნიერო ღირსების მისაღებ ეგზამენის დაჭერისა.

ლეიპციგში 1871—1880 წ. ქალებს უნივერსიტეტში შესვლის ნება მიეცათ, მაგრამ ეს ნება მალევე ჩამოერთვათ ისევე, როგორც ბავარიაში. უკანასკნელ დროს ზოგიერთმა უნივერსიტეტებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ დედათა სქესსაც ლექციების მოსმენის ნება დაერთოსო. ბელგიაში დედათა სქესს კანონი ნებას აძლევს როგორც უნივერსიტეტში სწავლისას, აგრეთვე ყოველს ფაკულტეტზე სამეცნიერო ხარისხის მიღებისას. ამავე კანონის ძალით დედაკაცებს ნება აქვთ ექიმისა და მეაფთიაქეს თანამდებობის ასრულებისა. ინგლისში და ირლანდიაში დიდი ხანია, რაც დედაკაცს უნივერსიტეტში შესასვლელად გზა გახსნილი აქვთ. შოტლანდიაში ედინბურგის უნივერსიტეტი დიდის ბრძოლის შემდეგ დასთანხმდა და ქალებს ნება მისცა სწავლისა. ასეთივე ნება აქვთ დედაკაცებს ინგლისის ზოგიერთ ახალშენში. ჰოლანდიის უნივერსიტეტებში სტუდენტთა შორის მომეტებული ნაწილი ქალებია. იტალიის ყველა უმაღლეს სასწავლებელმა დედათა სქესს კარი გაუღო; კანონი დედაკაცს ნებას აძლევს ცხოვრებაში ყოველგვარი ასპარეზი ამოირჩიოს, ვექილობის გარდა. რუმინიაში დედაკაცს სწავლის ნება მხოლოდ იასკის და ბუხარესტის უნივერსიტეტში აქვთ. შვეციასა, ნორვეგიასა და დანიაში კანონი არაფრით არ აბრკოლებს დედათა სურვილს, თავისუფლად შეუძლიან დედაკაცს უმაღლესის სწავლისა და სამეცნიერო ხარისხის მიღება, მხოლოდ სახელმწიფო სამსახურის ნება-კი არა აქვს. ირლანდიაში დედაკაცს ნება აქვს, იექიმოს და აგრეთვე ფილოსოფიის და ღვთის-მეტყველების ფაკულტეტებზედ სწავლა დაამთავროს.

ამ გვარად, ამ მცირე მიმოხილვიდგან ნათლადა სჩანს, რომ დედათა სქესს ყველა სახელმწიფოში უმაღლესის სწავლის მიღების ნება უკვე აქვს დართული. დედათა ამ უფლებას თანდათან ისინიც აღიარებენ და თანაგრძნობით ეკიდებიან, რომელნიც აქამდე გულ-ცივად ეპყრობოდნენ და ეჭვის თვალით უყურებდნენ.

## უცხოეთი

**სერბია.** სადღესასწაულო სადილის დროს, 22 აპრილს, რომელიც გამართული იყო სერბიის ოსმალეთიდგან მილოშ ობრენოვიჩის წინამძღოლ ობით განთავისუფლების დღის მოსაგონებლად, სერბიის მეფე ალექსანდრემ, მინისტრ-პრეზიდენტის ალექსანდრე ნიკოლაევიჩის პასუხად სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ობრენოვიჩებს სერბიის ახალის სახელმწიფოს დაარსების საქმეში. აი რა სთქვა მეფემ:

«როგორც ჭეშმარიტად აღიარა ბ-ნმა ნიკოლაევიჩმა, ჩვენი მოვალეობაა მოვიგონოთ ო.ბრენოვიჩების ღვაწლი. განსაკუთრებით მე, ვითარცა ობრენოვიჩსა და მეფეს, ვალად მაძევს პატივისცემით გავიხსენო ჩემი გმირი პაპა, მილოშ რუდნიკელი და სერბიის ციხე-სიმაგრეთა განმათავისუფლებელი თავადი მიხეილი. ვალადვე მაქვს მოვიგონო მეფე მილანის მოღვაწეობა, იმ მეფე მილანისა, რომელსაც მე პატივსა ვსცემ, ვითარცა ჩემს მშობელს მამასა და პირველ მეფეს დამოუკიდებელ სერბიისას და რომელიც ღვაწლით სავსე წევრია ჩემის სახლისა და ჩემი ერთგული ქვეშევრდომი. ჩემსავე მოვალეობადა ვსთვლი დავარწმუნო ჩემი ერი და ჩემი ქველი მხედრობა, რომ მე აღსავსე ვარ იმავე გრძნობებით, რომელთა შორისაც აღვიზარდე და რომელთაც ხელი შეუწყეს, სერბიის ერის მონაწილეობით ჩვენის ეროვნების დიდთა საქმეთა განხორციელებას».

**ავსტრი-უნგრეთი.** ვენაში 23 აპრილს ექვსი კრება ჰქონდათ სოციალ-დემოკრატელ მუშებს, რომელზედაც დიდძალი ხალხი დაესწრო. ყოველს კრებაზედ ის აზრი გამოითქვა, რომ პირველი მაისი უეჭველად უნდა ვიდღესასწაულოთ, საერთო საარჩევანო იქმნას შემოღებული და მილიტარიზმი გაუქმდესო.

## გასართობი

ავადმყოფმა სიკვდილის დროს თავის ცოლს უთხრა:

— მე ვკვდები და ჩემი თხოვნა ეს არის, კარაპეტას არ მისთხოვდეო...

— არა, შენმა მზემ, შენ არხეინად მოკვდი, მე სიტყვა სხვისთვისა მაქვს მიცემული.

**

ორ ავაზაკს არჩობდნენ, როგორც აიყვანეს სარჩობელაზედ და თოკები ჩაუგდეს კისერში, ამ დროს აყალმაყალი ასტყდა ხალხში. ერთი გაგიჟებული კამბეჩი საიდგანღაც გამოვარდა და ხალხი არივ-დარია. ერთმა ავაზაკმა უთხრა მეორეს:

— გიგო, რა კარგია, რომ აქ მაღლა ვდგევართ, თორემ ჩვენც გაგვსრისამდა ეს აზღვავებული ხალხიო.

**

ერთმა მოხუცმა დედაკაცმა მომრიგებელ-მოსამართლესთან იჩივლა:

— შვილები არ მინახავენ და მეუბნებიან, როცა მოკვდები არ დაგმარხამთო.

— შენ მიბრძანდი, დედი, უპასუხა მომრიგებელმა-მოსამართლემ: დავიბარებ შენ შვილებს, ვეტყვი, რომ შეგინახონ და როცა მოკვდე, თუ არ დაგმარხონ, მაშინ ხელახლად შემოიტანე საჩივარი.

## წერილი რედაქციის მიმართ

გასული მარტის 20 ახალციხეში გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების დედათა სკოლის სასარგებლოდ.

ნაღდი შემოსავალი დარჩა 67 მან. 75 კაპ., რომელიც უკვე ჩაწერილია შემოსავალ გასავლის დავთარში.

გამგე კომიტეტი მოხსენებული საზოგადოებისა უგულითადეს მადლობას სწირავს წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ და სხვებს, ვინც-კი ასე თუ ისე დახმარება აღმოუჩინა ამ საქმეს.

მდივანი საზოგადოებისა გ. ბურჭულაძე

## დეპეშა

21 აპრილი

**ათინა.** 20 აპრილს გუშინ საღამოს ხელახლავ მოხდა მიწის ძვრა. ასობით მადნის წყლები ამოხეთქა. მცხოვრებნი შიშისაგან მთებში იხიზნებიან.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**უ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი **ქალი ა. მ. ტურბოვიჩი**. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ქ. ი. ფრანცუსი**, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—184)


## „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


„ნევის პარიზები“
დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“
„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. ¢ ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში
(50—35)

## სასაპარელო ესსენცია კოლბერსა
(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.

კერძო ექიმი
## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაშავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს გარედგან მოსიარულეთა და თავის სახლში დაწვენითაც ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 5—7-მდე. ადრესი: საპიონის ქუჩა, სახლი ბაბანასოვისა № 41.
(10—1028—10)